

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ სიმონიშვილის
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით დასწრებული ვარ საკრებულოს ყველა სხდომას, ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ვესწრები კომისიის სხდომებს.

როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ანაგიდან, აქტიურად ვმონაწილეობ სოფელ ანაგაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

დღეისთვის, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, მთავარ პრობლემად კვლავ რჩება წყალმომარაგების საკითხები, მაგრამ მის გადასაჭრელად დაწყებულია პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ სოფლის ყველა ოჯახი ისარგებლებს ხარისხიანი სასმელი წყლით. პროექტით გათვალისწინებულია ორი დიდი რეზერვუარისა და ჭაბურღილების მოწყობა, ასევე მოწყობა მთლიანად ახალი გამანაწილებელი ქსელი და მოხდება გამრიცხველიანება. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ მთლიანი სისტემა გადაეცემა გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სისტემის გამართულ ექსპლუატაციაზე.


დამთავრდა ე.წ. „გალავნის გზის“ მოასფალტების სამუშაოები. მოასფალტდა 1კმ-დე გზა და ქუჩების შესასვლელები.

ასევე „მთავარანგელოზის ხევზე“ ცენტრალური გზის ქვემოთ განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. მოწყობა კაპიტალური გაბიონები, რითაც გადაიჭრა პრობლემა, რომელიც ათწლეულები აწუხებდა იქ მცხოვრებ მოსახლეობას. ასევე აღნიშნული ხევის მეორე მხარეს უახლოეს პერიოდში განხორციელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები (გაბიონები). სოფლის დახმარების პროგრამით, მოსახლების მოთხოვნით, 3 უბანში მოეწყო გარე განათება, რომელსაც შემდგომ დაემატა კიდევ 3 უბანი.

თითქმის დამთავრების სტადიაშია ელექტროგადამცემი საყრდენი ბოძების შეცვლის, დახურულ კაბელოურ სისტემაზე გადასვლის სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ელექტროენერჯიის მიწოდების ხარისხს და თითქმის მთლიანად აღმოფხვრის უგეგმო გათიშვებს.

აქტიური, ყოველდღიური შეხვედრები მაქვს სოფელ ანაგის მოსახლეობასთან. მოსახლეობას შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი:



/ვ.სიმონიშვილი/

30.10.2020 წელი.